FM

საქართველოს

რადიო

„საქართველოს რადიოს“ საინფორმაციო გამოშვებების წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიში თვის ჭრილში

1.09.20 - 30.09.20

არჩევნები 2020



პირველი არხის და საქართველოს რადიოს საინფორმაციო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების ყველა გადაცემის მონიტორინგი პირველი სექტემბრიდან მიმდინარეობს და მიზნად ისახავს მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილი დროის რაოდენობრივი მონაცემების დათვლას.

მნიშვნელოვანია, რომ მონიტორინგი წარმოებს სპეციალურად შექმნილი პროგრამის საშუალებით. პრაიმ თაიმსა და ოფ პრაიმში გაშუქებული ინფორმაციის დამუშავებას უზრუნველყოფენ სხვადასხვა პლატფორმებისა და გადაცემების სპეციფიკის გათვალისწინებით დატრენინგებული მონიტორები.

გასულ კვირას გამოქვეყნდა „მოამბის“ წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიში თვის ჭრილში. ამჯერად წარმოგიდგენთ „საქართველოს რადიოს“ საინფორმაციო გამოშვებების წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიშს თვის ჭრილში (პირველიდან 30 სექტემბრის ჩათვლით).

მონიტორინგის მეთოდოლოგია

როგორც ტელევიზიის, ასევე რადიოს წარმოდგენილი საარჩევნო მონიტორინგის რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს საარჩევნო სუბიექტისთვის (გამომსვლელისთვის) დათმობილ დროს, პირდაპირ და ირიბ გაშუქებას დათმობილი დროის და გაშუქების ტონის მიხედვით (პოზიტიური, ნეგატიური, ნეიტრალური). ამასთან განვმარტავთ, რომ სუბიექტისთვის (გამომსვლელისთვის) დათმობილი დრო წარმოადგენს სუბიექტის პირდაპირ გაშუქებას. ამ მონაცემს გამოვყოფთ იმისათვის, რომ ხაზი გავუსვათ საარჩევნო სუბიექტებისათვის მაუწყებლის მიერ დათმობილი დროის გადანაწილებას.

„საქართველოს რადიოს“ საინფორმაციო გამოშვებების ფორმატიდან გამომდინარე, მონიტორინგის დროს, გამომსვლელებად ჩაითვალნენ გაშუქებული ინფორმაციის სუბიექტები, მათთვის დათმობილი დრო ითვლება პირდაპირ გაშუქებად. მონიტორებმა აღნიშნეს გაშუქებული ინფორმაციის სუბიექტები და მათ მიერ ნახსენები ყველა ობიექტი ცალ-ცალკე, ქრონომეტრაჟის და გაშუქების ტონის მითითებით. ობიექტებისთვის დათმობილი დრო ითვლება ირიბ გაშუქებად. საარჩევნო მონიტორინგის დროს ქრონომეტრაჟი არ მრგვალდება.

გაშუქების ტონის განსაზღვრისას:

- ნეგატიურად ითვლება გამომსვლელების მიერ მწვავე, უარყოფითი კონოტაციის შემცველი სიტყვების გამოყენებით გაკეთებული განცხადებები
- პოზიტიურად ითვლება გამომსვლელების მიერ დადებითი კონოტაციის შემცველი სიტყვების გამოყენებით გაკეთებული განცხადებები
- ნეიტრალურად ითვლება სიტუაციის აღწერა, ფაქტების დაფიქსირება, ასევე ინფორმაცია, რომელიც არ გამოხატავს გამომსვლელის დამოკიდებულებას, დადებითი და ნეგატიური კონოტაციის შემცველი სიტყვების გამოყენების გარეშე აღწერს მოვლენებს.

მონიტორინგი ასახავს, როგორც საარჩევნო სუბიექტებისათვის დათმობილი მთლიანი დროის შეფასებას ტონის მიხედვით, ასევე ჟურნალისტის მიერ საარჩევნო სუბიექტების გაშუქების/ხსენების დროს და ტონს.
წარმოდგენილ ანგარიშში აისახა „საქართველოს რადიოს“ 33 ყოველდღიური საინფორმაციო გამოშვება. ყოველ სამუშაო დღეს „საქართველოს რადიოში“ საინფორმაციო გამოშვებებს საათში 15 წუთი ეთმობა. მათ შორის არის 17 10 წუთიანი და 16 5 წუთიანი გამოშვება. არასამუშაო დღეებში ეთერშია 17 10 წუთიანი გამოშვება.

საინფორმაციო პროგრამა	07:50-08:00
საინფორმაციო პროგრამა	08:50-09:00
საინფორმაციო პროგრამა	09:50-10:00
საინფორმაციო პროგრამა	10:50-11:00
საინფორმაციო პროგრამა	11:50-12:00
საინფორმაციო პროგრამა	12:50-13:00
საინფორმაციო პროგრამა	13:50-14:00
საინფორმაციო პროგრამა	14:50-15:00
საინფორმაციო პროგრამა	15:50-16:00
საინფორმაციო პროგრამა	16:50-17:00
საინფორმაციო პროგრამა	17:50-18:00
საინფორმაციო პროგრამა	18:50-19:00
საინფორმაციო პროგრამა	19:50-20:00
საინფორმაციო პროგრამა	20:50-21:00
საინფორმაციო პროგრამა	21:50-22:00
საინფორმაციო პროგრამა	22:50-23:00
საინფორმაციო პროგრამა	23:50-00:00

საინფორმაციო პროგრამა	08:25
საინფორმაციო პროგრამა	09:25
საინფორმაციო პროგრამა	10:25
საინფორმაციო პროგრამა	11:25
საინფორმაციო პროგრამა	12:25
საინფორმაციო პროგრამა	13:25
საინფორმაციო პროგრამა	14:25
საინფორმაციო პროგრამა	15:25
საინფორმაციო პროგრამა	16:25
საინფორმაციო პროგრამა	17:25
საინფორმაციო პროგრამა	18:25
საინფორმაციო პროგრამა	19:25
საინფორმაციო პროგრამა	20:25
საინფორმაციო პროგრამა	21:25
საინფორმაციო პროგრამა	22:25
საინფორმაციო პროგრამა	23:25

აღნიშნულ გამოშვებებში გაშუქებულ საარჩევნო თემატიკაში გაიზომა:

- გაშუქებული თემების რაოდენობრივი მონაცემი და დათმობილი დრო
- საარჩევნო სუბიექტებისთვის დათმობილი დრო
- საარჩევნო სუბიექტების გაშუქება (პირდაპირი და ირიბი)
- საარჩევნო სუბიექტების გაშუქების ტონი

ცესკოში რეგისტრირებული პარტიების/ბლოკების გარდა ანგარიში მოიცავს 21 სექტემბრის მდგომარეობით რეგისტრირებული, საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი, მაჟორიტარი კანდიდატების გაშუქების ხანგრძლივობას ჯამურად, საკრებულოების შუალედური და მერების რიგგარეშე არჩევნების სუბიექტებისთვის დათმობილ დროს ჯამურად, აჭარის უმაღლესი საბჭოს საარჩევნო სუბიექტებისთვის დათმობილ დროს ჯამურად.

პარტიები/ბლოკები აღნიშნულია სახელწოდებებით, რომლითაც ისინი მონაწილეობენ არჩევნებში. მონაცემები აღებულია ცესკოს ოფიციალური ვებგვერდიდან.

საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო გამოშვებებში გაშუქებული საარჩევნო თემების რაოდენობაა 3087, დათმობილი დრო 19:00:17 (ცხრამეტი საათი, ნული წუთი და ჩვიდმეტი წამი).

მონიტორინგის მიხედვით, გაშუქება ხორციელდება საარჩევნო სუბიექტების აქტივობის შესაბამისად. სულ გაშუქდა მონიტორინგის 32 სუბიექტი, მათ შორს 29 რეგისტრირებული პარტია/ბლოკი. წარმოდგენილი საარჩევნო სუბიექტებისთვის დათმობილი დრო „საინფორმაციო გამოშვებებში“ არის 07:49:10 (შვიდი საათი, ორმოცდაცხრა წუთი და ათი წამი). ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს პარტიას ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო (01:29:02), მეორე ადგილზეა პარტია „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია-ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ (01:20:10), მესამე პოზიციაზეა ბლოკი - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, გაერთიანებული ოპოზიცია ,,ძალა ერთობაშია” (01:17:09). ეს არის მიმდინარე საარჩევნო კამპანიის ყველაზე მეტი აქტივობებით გამორჩეული სამი სუბიექტი, მათი აქტივობები პირდაპირპროპორციულად ასახულია „საქართველოს რადიოს“ საინფორმაციო გამოშვებების ეთერში და შესაბამისად ჩანს მონიტორინგის შედეგებში.

(ცხრილი #1 - საარჩევნო სუბიექტები დათმობილი დროის და პროცენტული გადანაწილების მითითებით)

საარჩევნო სუბიექტები	პირდ.	%
ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	01:29:02	18.98%
ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია- ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის	01:20:10	17.09%
ბლოკი- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"	01:17:09	16.44%
ბლოკი -გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი	00:50:31	10.77%
ლელო - მამუკა ხაზარაძე	00:39:25	8.40%
შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია	00:22:22	4.77%
ნინო ბურჯანაძე - ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა	00:20:02	4.27%
დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	00:14:39	3.12%
თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია)	00:13:56	2.97%
ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები	00:10:50	2.31%
დავით ჭიჭინაძე - ტრიბუნა- ქდმ	00:10:30	2.24%
ჯონდო ბაღათურია - ქართული დასი	00:07:20	1.56%
დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატები (ჯამურად)	00:06:16	1.34%
გირჩი	00:06:03	1.29%
მომავალი საქართველო	00:05:10	1.10%
ეკა ბესელია - პ.პ. სამართლიანობისთვის	00:04:59	1.06%
არჩევანი სამშობლოსათვის	00:02:52	0.61%
ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია	00:02:03	0.44%
ადგილობრივი თვითმმართველობების შუალედური არჩევნები (ჯამურად)	00:01:31	0.32%
ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი	00:01:20	0.28%
თავისუფალი დემოკრატები	00:01:07	0.24%
ქართული მარში-ეროვნული მოძრაობა	00:00:48	0.17%
ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო	00:00:27	0.10%
სოციალური სამართლიანობისათვის	00:00:22	0.08%
პარტია თეთრები	00:00:16	0.06%

(გრაფიკი 1 - საარჩევნო სუბიექტებისთვის დათმობილი დრო)



საარჩევნო სუბიექტების ირიბ გაშუქებას დაეთმო 06:52:03 (ექვსი საათი, ორმოცდათორმეტი წუთი და სამი წამი). ყველაზე მაღალი ირიბი გაშუქება აქვს პარტიას „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (02:34:29), რაც ნიშნავს რომ ქართულ ოცნებაზე საუბარს მონიტორინგის სხვა სუბიექტებმა ყველაზე მეტი დრო დაუთმეს. მეორე ადგილზეა ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (01:28:29), მესამე პოზიციაზეა პარტია „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია- ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ (00:43:45)

(ცხრილი # 2 - საარჩევნო სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქება დათმობილი დროის მითითებით)

საარჩევნო სუბიექტები	პირდაპირი	ირიბი
ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	1:29:02	2:34:29
ბლოკი - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, გაერთიანებული ოპოზიცია ,,ძალა ერთობაშია”	1:17:09	1:28:29
ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია- ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის	1:20:10	0:43:45
ლელო - მამუკა ხაზარაძე	0:39:25	0:22:26
ბლოკი - გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი	0:50:31	0:08:16
შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია	0:22:22	0:13:07
ნინო ბურჯანაძე - ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა	0:20:02	0:08:35
დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	0:14:39	0:10:57
თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია)	0:13:56	0:09:03
გირჩი	0:06:03	0:08:04
დავით ჭიჭინაძე - ტრიბუნა- ქდმ	0:10:30	0:02:07
ჯონდო ბაღათურია - ქართული დასი	0:07:20	0:04:43
ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები	0:10:50	0:00:37
ეკა ბესელია - პ.პ. სამართლიანობისთვის	0:04:59	0:06:02
დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატები (ჯამურად)	0:06:16	0:07:27
ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი	0:01:20	0:07:40
ადგილობრივი თვითმმართველობების შუალედური არჩევნები (ჯამურად)	0:01:31	0:05:56
მომავალი საქართველო	0:05:10	0:00:00
ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი	0:00:00	0:03:28
არჩევანი სამშობლოსათვის	0:02:52	0:00:17
ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო	0:00:27	0:02:08
ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია	0:02:03	0:00:14
თავისუფალი დემოკრატები	0:01:07	0:00:42
აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები	0:00:00	0:01:09
ქართული მარში-ეროვნული მოძრაობა	0:00:48	0:00:07
პროგრესული საქართველო	0:00:00	0:00:44
სოციალური სამართლიანობისათვის	0:00:22	0:00:14

სერგო ჯავახიძე-ევროატლანტიკური ვექტორი	0:00:00	0:00:30
თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის	0:00:00	0:00:21
პარტია თეთრები	0:00:16	0:00:00
გია ჟორჟოლიანი - სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის	0:00:00	0:00:14
რეფორმერი	0:00:00	0:00:12

(გრაფიკი # 2 - საარჩევნო სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქების პროცენტული გადანაწილება. 100% ითვლება საანგარიშო პერიოდში თითოეული სუბიექტის პირდაპირი და ირიბი გაშუქების ქრონომეტრაჟიდან)

პირდაპირი და ირიბი გაშუქება



(გრაფიკი # 3 - საარჩევნო სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქების ჯამური მაჩვენებელი პროცენტული გადანაწილებით. 100% ითვლება საანგარიშო პერიოდში სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქების საერთო ქრონომეტრაჟიდან)

პირდაპირი და ირიბი გაშუქების ჯამური მაჩვენებელი



საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას საარჩევნო სუბიექტები ერთმანეთის მიმართ მკვეთრი პოლარიზებით ხასიათდებიან. რაც აისახა მონიტორინგის ფარგლებში გაზომილ მონაცემებშიც. როგორც ტელევიზიაში, ასევე რადიოში, სუბიექტების გაშუქების ტონის მიხედვით, გამომსვლელების საუბრისას ყველაზე მაღალი ნეგატიური მაჩვენებელი დაფიქსირდა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მიმართ (00:57:38). ამ პარტიის მიმართ ყველაზე ნეგატიური გამოსვლებით გამოირჩეოდნენ: „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია- ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ (00:13:08), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (00:09:53), „ლელო - მამუკა ხაზარაძე“ (00:09:37); მაღალი ნეგატიური მაჩვენებლით მეორე ადგილზეა ბლოკი - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (00:32:26) ამ ბლოკის მიმართ ნეგატიური გამოსვლები ჰქონდათ: „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“ (00:07:21), „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ (00:03:30), „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ (00:01:18)

ერთმანეთის მიმართ მკვეთრად პოლარიზებული საარჩევნო აქტორების ფონზე, მაუწყებლის გაშუქების ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ტელევიზიის მსგავსად რადიოშიც ნეიტრალურია.

(ცხრილი # 3 - საარჩევნო სუბიექტების გაშუქების ტონი. დათმობილი დროის და პროცენტის მითითებით. 100% ითვლება საანგარიშო პერიოდში თითოეული სუბიექტის პირდაპირი და ირიბი გაშუქების ქრონომეტრაჟიდან)

საარჩევნო სუბიექტები	ნეგატიური		ნეიტრალური		პოზიტიური	
ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	23.67%	0:57:38	56.64%	2:17:55	19.70%	0:47:58
ბლოკი - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“	19.58%	0:32:26	72.53%	2:00:08	7.89%	0:13:04
ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია-ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის	6.77%	0:08:23	70.57%	1:27:27	22.66%	0:28:05
ლელო - მამუკა ხაზარაძე	7.71%	0:04:46	76.42%	0:47:16	15.87%	0:09:49
ბლოკი - გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი	1.25%	0:00:44	81.09%	0:47:40	17.66%	0:10:23
შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია	0.23%	0:00:05	82.29%	0:29:12	17.47%	0:06:12
ნინო ბურჯანაძე - ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა	0.00%	0:00:00	75.13%	0:21:30	24.87%	0:07:07
დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	3.65%	0:00:56	83.01%	0:21:15	13.35%	0:03:25
თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია)	0.00%	0:00:00	74.40%	0:17:06	25.60%	0:05:53
გირჩი	20.78%	0:02:56	65.64%	0:09:16	13.58%	0:01:55
დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატი	0.00%	0:00:00	100.00%	0:13:43	0.00%	0:00:00
დავით ჭიჭინაძე - ტრიბუნა- ქდმ	0.00%	0:00:00	96.83%	0:12:13	3.17%	0:00:24
ჯონდო ბაღათურია - ქართული დასი	0.00%	0:00:00	81.60%	0:09:50	18.40%	0:02:13
ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები	0.00%	0:00:00	74.82%	0:08:34	25.18%	0:02:53
ეკა ბესელია - პ.პ. სამართლიანობისთვის	0.00%	0:00:00	98.49%	0:10:51	1.51%	0:00:10
ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი	0.00%	0:00:00	100.00%	0:09:00	0.00%	0:00:00
ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნები	0.00%	0:00:00	93.29%	0:06:57	6.71%	0:00:30
მომავალი საქართველო	0.00%	0:00:00	68.06%	0:03:31	31.94%	0:01:39
ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი	0.00%	0:00:00	100.00%	0:03:28	0.00%	0:00:00
არჩევანი სამშობლოსათვის	0.00%	0:00:00	46.03%	0:01:27	53.97%	0:01:42
ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო	0.00%	0:00:00	78.06%	0:02:01	21.94%	0:00:34
ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია	0.00%	0:00:00	63.50%	0:01:27	36.50%	0:00:50
თავისუფალი დემოკრატები	0.00%	0:00:00	38.53%	0:00:42	61.47%	0:01:07
აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები	0.00%	0:00:00	69.57%	0:00:48	30.43%	0:00:21

ქართული მარში-ეროვნული მოძრაობა	0.00%	0:00:00	87.27%	0:00:48	12.73%	0:00:07
პროგრესული საქართველო	0.00%	0:00:00	100.00%	0:00:44	0.00%	0:00:00
სოციალური სამართლიანობისათვის	0.00%	0:00:00	100.00%	0:00:36	0.00%	0:00:00
სერგო ჯავახიძე-ევროატლანტიკური ვექტორი	0.00%	0:00:00	100.00%	0:00:30	0.00%	0:00:00
თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის	0.00%	0:00:00	100.00%	0:00:21	0.00%	0:00:00
პარტია თეთრები	0.00%	0:00:00	0.00%	0:00:00	100.00%	0:00:16
გია ჟორჟოლიანი - სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის	0.00%	0:00:00	100.00%	0:00:14	0.00%	0:00:00
რეფორმერი	0.00%	0:00:00	100.00%	0:00:12	0.00%	0:00:00

(გრაფიკი # 4 - საარჩევნო სუბიექტების გაშუქების ტონი პროცენტული გადანაწილებით. 100% ითვლება საანგარიშო პერიოდში თითოეული სუბიექტის პირდაპირი და ირიბი გაშუქების ქრონომეტრაჟიდან)

სუბიექტების გაშუქების ტონი



წინასაარჩევნო პერიოდში, იზრდება მაუწყებლების როლი ამომრჩეველთა ინფორმირების კუთხით. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მიუკერძოებელი სარედაქციო პოლიტიკა, რომელიც ნათლად ჩანს ჟურნალისტების/წამყვანების გაშუქების ტონში და სუბიექტებისათვის დათმობილი დროის გადანაწილებაში. მონიტორინგის ფარგლებში დაკვირვების ობიქტს წარმოადგენდნენ მაუწყებლის ჟურნალისტები და გადაცემის წამყვანები. აღსანიშნავია, რომ „საქართველოს რადიოს“ საინფორმაციო გამოშვებების ფორმატი თავისთავად განაპირობებს ჟურნალისტების ტონის ნეიტრალურობას ყველა საარჩევნო სუბიექტის მიმართ. ხოლო დროის გადანაწილება საარჩევნო სუბიექტებს შორის არის დაბალანსებული მათივე აქტივობების შესაბამისად. ამავე დროს, მონიტორინგის მონაცემები გვიჩვენებს საარჩევნო კამპანიის ყველაზე აქტიურ და პასიურ საარჩევნო სუბიექტებს და სუბიექტებს ვინც ქმნის პოლარიზებულ საარჩევნო გარემოს.

უწყვეტი მონიტორინგი და შედეგების პერმანენტული გამოქვეყნება შესაძლებელს გახდის საარჩევნო პროცესის გაშუქებაზე დინამიკაში დაკვირვებას და საეთერო დროის თანაბარ განაწილებას საარჩევნო სუბიექტებს შორის. რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებულ არჩევანს.